ოშო / OSHO

(ბჰაგვან შრი რაჯნიში)

სიყვარულის ძალა

ქართული თარგმანი ეკუთვნის
ვაჟა ნარიმანიძეს

გამომცემლობა აქტი
თბილისი – 2022

ავტორი, თავის წიგნში – „სიყვარულის ძალა“ განიხილავს სიყვარულის მნიშვნელობას, მის სხვადასხვა გამოვლინებას. ის მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენა არის შეყვარება, მაგრამ ადამიანებს ამის შესახებ ცოდნა არ აქვთ. სახელმწიფო, საზოგადოება, რელიგია ადამიანს იძულებულს ხდის ჩარჩოში მოაქციოს როგორც აზროვნება, ასევე გრძნობები, რის შედეგადაც, სიყვარული გახდა ინსტიტუციონალური.

ადამიანს სიყვარულის უნარი დაბადებიდან გააჩნია, მაგრამ ის სახელმწიფოსა და რელიგიური ჯგუფების უარყოფითი გავლენის მეშვეობით, თავის ნამდვილ არსს ჩამოშორდა, რის გამოც, ის არა სასიამოვნო გრძნობა, არამედ მტკივნეული და მტანჯველი გახდა.

ამ წიგნით, ოშო გვასწავლის თუ როგორ ვიპოვოთ სიყვარული და რა გზებს უნდა მივმართოთ ამისთვის; რა უნდა გააკეთონ ქორწინებაში მყოფმა ადამიანებმა იმისათვის, რომ გადალახონ ურთიერთობაში არსებული დაბრკოლებები; როგორ უნდა მივაღწიოთ ჰარმონიას და როგორ უნდა აყვავდეს ნამდვილი სიყვარული საკუთარ თავთან, ან სხვათა ურთიერთობებთან მიმართებაში.

ავტორი: ოშო (ბჰაგვან შრი რაჯნიში)
მთარგმნელი: ვაჟა ნარიმანიძე
კორექტორი: ნინო შონია
გარეკანის დიზაინი: დაიანა ღონიაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

პირველი გამოცემა, 2022

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4385-3

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა 4

შესავალი 9
თავი 1. 11
სიყვარული მოვიდა – სიბრძნე წავიდა 11
თავი 2. 35
კაცმა თქვა – ქალმა თქვა. სიყვარული ურთიერთობებში 35
თავი 3. 56
გონების საპყრობილეში 56
თავი 4. 108
გულის გზა 108
თავი 5. 142
სიყვარული ყველაზე უფრო სუფთა ძალაა 142
თავი 6. 158
სიყვარული მოვიდა – სიბრძნე წავიდა 158
თავი 7 185
სექსი, სიყვარულის გენეზისი 185
ეპილოგი 223

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 227-229

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ნამდვილ სიყვარულს სასწაულების მოხდენა შეუძლია, იგი აბსოლუტურად ძლიერი და უცნაურია; მოულოდნელია, არ შეიძლება მისი გაკონტროლება, მართვა. სიყვარულის უნარი დაბადებიდან გვეკუთვნის ჩვენ. მაშ, რატომ არის სამყაროში ასე ცოტა სიყვარული და ასე ბევრი სიძულვილი? ოშო ჩვენ წინ ხსნის იმის სურათს, როგორ ხდება ბავშვობაში სუფთა სიყვარულის ენერგიის ძალადობისთვის და დამახინჯებისთვის დაქვემდებარება და როგორ იქცევა ის პირმოთნეობად და მიბაძვად. მიუხედავად ამისა, ყოველი ჩვენგანისთვის ახლა, პირდაპირ ხელმისაწვდომია მძლავრი ტრანსფორმაციის ძალა, რომელსაც შეუძლია სიძულვილი სიყვარულად აქციოს და ჩვენს გრძნობებს ნამდვილობა და სიღრმე დაუბრუნოს.

ოშო თავის რელიგიას მსოფლიოში ერთადერთად თვლიდა და ყველა დანარჩენ სარწმუნოებას სიცრუეს უწოდებდა, ხოლო ამ სარწმუნოებათა საკვანძო ფიგურებს – ადამიანთა მაცდურებს. თავისი სწავლება მან დააფუძნა ცხოვრების გამოცდილებაზე, რომელსაც იგი გარემომცველებს უზიარებდა. მრავალი სხვა სარწმუნოებისგან, კერძოდ ქრისტიანობისგან განსხვავებით, იგი არ თვლიდა სიღატაკეს სულიერ ღირებულებად და თავის თავს უწოდებდა „*გურუს* მდიდრებისთვის“.

ის ორეგონში[1] ცხოვრობდა; რამდენიმე როლს-როისი ჰყავდა და ყოველდღე სხვადასხვა ავტომობილით დადიოდა. ამაში მიმდევრები ღრმა აზრს ხედავდნენ.

ოშოს სწავლება არ მიუთითებს მომავალი სიკეთეებისკენ ან სასჯელისკენ; იგი ადამიანებს მოუწოდებს, რომ სიამოვნებით იცხოვრონ აქ და ახლა, თავი არაფრით შეიზღუდონ. ოშოს აზრით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყონ კმაყოფილი საკუთარი თავით და გარემომცველი სამყაროთი.

ოშოს აზრით, ფუფუნების და კომფორტის სიყვარული არ წარმოადგენს რაღაც სამარცხვინოს – პირიქით, სიზარმაცესთან ერთად ისინი სწორი, „ახალი ადამიანის“ მთავარ თვისებათა კომპლექსს შეადგენს. ამ ადამიანმა უნდა შეითავსოს გაუტამა ბუდას სულიერება და ზორბას ცხოვრებისადმი სიყვარული, ამიტომ ეწოდებოდა პირობითად ზორბა-ბუდა.

ოშოს სწავლებას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა სამშობლოსა და მსოფლიოში, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა. ოშო სექტის გაკიცხული დამფუძნებლიდან გახდა ფილოსოფოსი, სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერსონაჟი და იმ სწავლების ფუძემდებელი, რომელიც აღიარებულ იქნა ინდოეთის და ნეპალის მასობრივი კულტურის ნაწილად.

მისი წიგნები ორმოცდაათზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

მთარგმნელი, ვაჟა ნარიმანიძე

1. ორეგონი (ინგლ. Oregon) – შტატი აშშ-ში.

სიყვარული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რაც კი შეიძლება დაემართოს მამაკაცს ან ქალს ცხოვრებასა და სიკვდილს შორის. სიყვარულს მრავალი გამოვლინება აქვს და ერთ-ერთი მათგანია მედიტაცია.

ოშო

შესავალი

მხოლოდ სიყვარული აქცევს ადამიანს შემოქმედებითად; მხოლოდ სიყვარულში იწყებს სიყვარულით აღვსილი ადამიანი არსებობაში გადმოდინებას, იმიტომ რომ მხოლოდ სიყვარულში აქვს ის, რისი მიცემაც მას შეუძლია, და არა გაზიარება. ვინც სიყვარული არ შეიცნო, მას შექმნა არ შეუძლია, მას მხოლოდ მოშლის უნარი აქვს. ეს არის ერთი და იგივე ენერგია: როდესაც სიყვარულს უერთდება ეს ენერგია შემოქმედებითი ხდება, სიყვარულის გარეშე კი – დამანგრეველი. შეიძლება, სამყარო სრულიად სხვა გახდეს, თუ ადამიანებს იმის ნებას მივცემთ, რომ ვუყვადეთ და ამაში ხელს არ ვუშლიდეთ. თუ ადამიანებს შევუქმნით სიყვარულის კლიმატს, სიყვარულის ატმოსფეროს, რომელშიც მათთვის ადვილი იქნება მოსიყვარულე არსებებად ქცევა, შეიძლება, სამყარო ნამდვილი სამოთხე გახდეს. მსოფლიო ომები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყდება თუ სიყვარულის ენერგიას გამოვათავისუფლებთ. მხოლოდ სიყვარული შეიძლება გახდეს მომავალში კაცობრიობის გადარჩენის საწინდარი; მხოლოდ სიყვარულის აფეთქება შეიძლება გახდეს ბირთვული აფეთქების ანტიდოტი; წინააღმდეგ შემთხვევაში, კაცობრიობა დღითიდღე, სულ უფრო და უფრო ახლოს მივა საყოველთაო თვითმკვლელობასთან.

ჩვენ დაგვავიწყდა ის, რომ გვიყვარდეს და განადგურების იმდენი საშუალება შევქმენით, რომ, თუ დედამიწაზე სიყვარულის სასწაული არ მოხდა, გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ოთახი სავსეა საბრძოლო მასალით; თქვენ კი ბავშვს სათამაშოდ ასანთის კოლოფი მიეცით. იმედი გაქვთ, რომ არაფერი მოხდება, მაგრამ საფრთხე ძალიან დიდია – აი, ასანთის კოლოფი, აი, ბავშვი და აი, მისი ცნობისმოყვარეობა. ის ვერ მოითმენს – აუცილებლად გახსნის კოლოფს და ეცდება მას რაიმე უქნას. და ოთახში ხომ ბლომად არის საბრძოლო მასალა, რომელიც შეიძლება აფეთქდეს. უბედური შემთხვევის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქაც მსგავსი გარემოებაა: იმაში, რაც გულს შეეხება, ადამიანი თითქმის განუვითარებელია, მეცნიერებამ კი მასში უზარმაზარი ძალა გამოათავისუფლა. და თუ იმავე პროპორციაში არ მოხდა გამოთავისუფლება მისი სიყვარულისა – მშვენიერების გრძნობისა, ტკბობის, ცხოვრების და ზეიმის უნარისა, ის ვერ გადარჩება. მაგრამ, აი, ერთ-ერთი ძირითადი წესი: როდესაც დამანგრევი ადამიანი შეგხვდებათ, ნუ გაბრაზდებით ამ ადამიანზე, არამედ მის მიმართ სიბრალული იგრძენით. ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც იყო ადოლფ ჰიტლერი, საჭიროებენ სიბრალულს, თანაგრძნობას. მათი სასიცოცხლო ძალები დამჟავდა, დამწარდა, შხამიანი გახდა იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა ვერ გაიგეს თუ რა არის სიყვარული; საზოგადოება კი სიძულვილს ბადებს და სიყვარულის დაშვებას არ ახდენს – ასეა იგი მოწყობილი; ის კონკურენციას ბადებს და ამხანაგობის სულისკვეთებას არ უშვებს; იგი ბრძოლას გასწავლით, მეგობობას კი არასოდეს გასწავლით.

ჩემი მთავარი მიზანია, – თქვენი სიყვარულის რესურსები გამოვათავისუფლო; სიყვარულის ცეცხლი დავანთო თქვენში. და, როდესაც ეს იქნება გაკეთებული, სიყვარული ყველაფერზე იზრუნებს და თქვენი ცხოვრება თავისთავად შემოქმედებითი გახდება.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
39. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – სიყვარულის ძალა
40. ოშო – რა არის მედიტაცია?
41. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

42. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
43. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

44. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
45. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

46. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
47. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

48. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
49. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან

50. გ. გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
51. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

52. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
53. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

54. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
55. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

56. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
57. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
58. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

59. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
60. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
61. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

62. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
63. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
64. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე